საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო

# საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა და ცვლილებები 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში

# საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმა

1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა
2. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება
3. საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნესგარემოს შექმნა/შენარჩუნება
4. რეგიონულ სავაჭრო და ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება
5. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
6. სოფლის მეურნეობის განვითარება
7. განათლების სისტემის გაუმჯობესება
8. სოციალური პოლიტიკის დახვეწა
9. ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბება
10. ურბანული და რეგიონული განვითარება

# საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POOR'S

FitchRatings

MOODY'S INVESTORS SERVICE

**BB- სტაბილური**

(2011 წლის ნოემბერში საქართველოს რეიტინგი გაიზარდა ერთი საფეხურით B+ დადებითიდან)

**BB- სტაბილური**

(2011 წლის დეკემბერში საქართველოს რეიტინგი გაიზარდა ერთი საფეხურით B+ დადებითიდან)

**Ba3 სტაბილური**

(საქართველოს აღნიშნული რეიტინგი მიენიჭა 2011 წლის დეკემბერში)

# რეალური სექტორი
## რეფორმებზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდა

### ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები




### სწრაფად ზრდადი მშპ ერთ სულ მოსახლეზე




### ნომინალური მშპ-ს სტრუქტურა 2011 (წინასწარი)




### ქვეყნის ეკონომიკური წარმატება, რომელიც აჭარბებს მოლოდინს

2011 წელს თავდაპირველად დაგეგმილი 5.5%-ის ნაცვლად საქართველოს რეალური მშპ-ს ზრდამ წინასწარი მონაცემებით **7.0%** შეადგინა, რაც განპირობებული იყო რეალური და ფინანსური სექტორების მაღალი აქტივობით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებით.

<u>2011 წლის შედეგები (წინასწარი):</u>

✓ საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა წლიური **26%**-ით.

✓ დღგ-ს ბრუნვა გაიზარდა წლიური **26 %**-ით.

✓ კომერციული ბანკების მიერ რეალური სექტორის დაკრედიტება გაიზარდა წლიური **24%**-ით.

✓ სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა წლიური **36%**-ით

✓ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) გაიზარდა წლიური **20%**-ით

# რეალური ეკონომიკა

## ბიზნეს გარემო: საქართველო - ყველაზე წარმატებული რეფორმატორი ბოლო 5 წლის განმავლობაში (WB-IFC Doing Business Report 2012)




- ✓ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმების მოცულობით და ეფექტურობით საქართველო მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ქვეყანაა.

# რეალური ეკონომიკა
## ვაჭრობის დივერსიფიცირებული სტრუქტურა

### ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2011




### იმპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2011




### ექსპორტის სტრუქტურა პროდუქციის მიხედვით 2011




### იმპორტის სტრუქტურა პროდუქციის მიხედვით 2011



# სახელმწიფო ფინანსების მართვა და სახელმწიფო ვალი
## ფისკალური კონსოლიდაციის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ტემპი რეგიონში

## საბიუჯეტო ტენდენციები










## სტაბილური ფისკალური გარემო

- ✓ ფისკალური დეფიციტი შემცირდა 2009 წლის **9.2%**-დან **3.6%**-მდე 2011 წელს. 2012-2013 წლებში დაგეგმილია დეფიციტის შემცირება 3%-მდე
- ✓ 2011 წელს საბიუჯეტო შემოსავლები გაიზარდა **17%**-ით, 2012-ში გაიზრდება კიდევ **8%**-ით;
- ✓ საოპერაციო ბალანსი დადებითია. ფისკალური დეფიციტის ფორმირება ხდება მხოლოდ ზრდის წამახალისებელი კაპიტალური ხარჯების შედეგად.

# სახელმწიფო ფინანსების მართვა და სახელმწიფო ვალი

## სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურა

**სახელმწიფო კაპიტალური და მიმდინარე ხარჯები**




**2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების კომპოზიცია**



# სახელმწიფო ფინანსების მართვა და სახელმწიფო ვალი

## ბრიუსელის დონორთა საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში გამოყოფილი რესურსის ათვისება ხელს შეუწყობს ეკონომიკის სტიმულირებას მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში

### ბრიუსელის დონორთა მხარდაჭერა - სახელმწიფო და კერძო სექტორი




### გაფორმებული ფინანსური რესურსი სექტორების მიხედვით




### სახელმწიფო სექტორში გაფორმებული ფინანსური რესურსი დონორების მიხედვით




### მნიშვნელოვანი ფაქტები

2008 წლის ოქტომბერში ბრიუსელში საქართველოს მხარდასაჭერად გაიმართა დონორთა საერთაშორისო კონფერენცია. საქართველომ დონორებისაგან მიიღო 4.5 მილიარდი აშშ დოლარის ფინანსური მხარდაჭერის დაპირებები გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების და გრანტების სახით. ეს მხარდაჭერა მიზნად ისახავდა საქართველოს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას.

2012 წლის 31 მარტის მდგომარეობით ათვისებულია ~2.5 მილიარდი აშშ დოლარი. დანარჩენ თანხაზე (2 მილიარდი აშშ დოლარი) გაფორმებულია შეთანხმებები დონორებსა და საქართველოს შორის. აღნიშნული თანხის ათვისება გაგრძელდება 2015-16 წლამდე, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას ქვეყანაში იაფი ფინანსური რესურსის შემოდინების გზით.

# სახელმწიფო ფინანსების მართვა და სახელმწიფო ვალი

## სახელმწიფო ვალის ხელსაყრელი მდგომარეობა

### სახელმწიფო ვალის კოეფიციენტები: გონივრული ლიმიტების ფარგლებში




### მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების სტაბილურად დაბალი კოეფიციენტები



# სახელმწიფო ფინანსების მართვა და სახელმწიფო ვალი

## სახელმწიფო ვალის ხელსაყრელი მდგომარეობა

## სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ 2%-ს შეადგენს

**სახელმწიფო ვალის ხელსაყრელი სტრუქტურა და დაბალი საპროცენტო განაკვეთი**




**სახელმწიფო საგარეო ვალი საპროცენტო განაკვეთის ტიპების მიხედვით**




**2011 წელს გამოშვებული ევროობლიგაცია**



# საგარეო სექტორი
## სტაბილურად ზრდადი საგარეო შემოსავლები

### ტურიზმის სექტორის სწრაფი განვითარება




### მიმდინარე ტრანსფერები ფულადი გზავნილების ჩათვლით – საგარეო შემოსავლების სტაბილური წყარო




### ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების ისტორიულად მაღალი დონე




### ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



# მონეტარული და საბანკო სექტორი
## ფასების სტაბილურობა - კლებადი ინფლაცია

### საკვების ფასები მსოფლიოში




*წყარო: UN FAO*

### საშუალო ინფლაცია - საქართველო




*წყარო: საქსტატი*

### ინფლაციის დინამიკა - საქართველო




### თვიური ინფლაცია (წელი წელთან) - საქართველო




*წყარო: საქსტატი*

*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

# 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების მიზანი და ძირითადი არსი

- ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მობილიზებასთან და აღნიშნული თანხებით სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროების დასაფინანსებლად დამატებითი ასიგნებების გამოყოფასთან;

- დამატებითი თანხები ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოიყოფა, რაც:
  - ერთის მხრივ მეტი სამუშაო ადგილების შექმნასა და მოსახლეობის დასაქმებაზეა ორიენტირებული;
  - მეორეს მხრივ აღნიშნული თანხების გამოყოფა მომდევნო წლებში არ არის დაკავშირებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდასთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის აუცილებელი ინდიკატორების შენარჩუნება.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები
## ზრდადი ტენდენცია

- პროექტის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების მთლიანი მოცულობა განისაზღვრება 8 216,0 მლნ ლარის ოდენობით, რაც დამტკიცებულ მაჩვენებელზე 200,6 მლნ ლარით მეტია, მათ შორის:
  - შემოსავლები იზრდება 211,3 მლნ ლარით;
  - საინვესტიციო კრედიტები მცირდება 10,7 მლნ ლარით
  - არ იცვლება ფინანსური და არაფინანსური აქტივების კლებიდან დაგეგმილი სახსრების მოცულობა;

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები




| დასახელება | გეგმა (მლნ ლარი) | პროექტი (მლნ ლარი) | ზრდა (მლნ ლარი) |
|---|---|---|---|
| გადასახადები | 6,300.0 | 6,300.0 | 0,0 |
| გრანტები | 239.4 | 330.6 | 91,3 |
| სხვა შემოსავლები) | 300.0 | 420.0 | 120.0 |
| **ჯამი** | **6,839.4** | **7,050,6** | **211.3** |

- **სხვა შემოსავლების** ზრდა ძირითადად გამოწვეულია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის საფასურიდან მისაღები სახსრების ზრდით;
- **გრანტების** სახით დამატებითი თანხების ჩამორიცხვა დაკავშირებულია საქართველოს მიერ სხვადასხვა სფეროებში წარმატებით განხორციელებულ რეფორმებთან *(სისხლის სამართლის რეფორმა, სახელმწიფო ფინანსების მართვა, პროფესიული განათლება, რეგიონული განვითარება და სხვა);*

# სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები
## ზრდადი ტენდენცია

- პროექტის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრეაბა 8 055,0 მლნ ლარის ოდენობით, რაც დამტკიცებულ მაჩვენებელზე 139,5 მლნ ლარით მეტია, მათ შორის:
  - საბიუჯეტო სახსრების ნაწილში ზრდა შეადგენს 144,4 მლნ ლარს;
  - საინვესტიციო პროექტების ფარგლებში ასიგნებები მცირდება 4,8 მლნ ლარით;



# დაგეგმილი პროექტები

- დამატებითი ასიგნებები მიიმართება შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:
  - მსოფლიოო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე წელს კახეთსა და იმერეთში დაგეგმილი ისტორიული ძეგლების, ტურისტული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია:
  - საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება;
  - საგზაო და ნაპირსამაგრი სამუშაოების დაფინანსება, ასევე ზამთრის პერიოდში შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით თოვლსაწმენდი ტექნიკის შესყიდვა:
  - საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე მათი სპორტული დარბაზების და მოედნების მოწყობა და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა:
  - სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული ინფრასტრუქტურის (მ.შ. ფეხბურთის მოედნები) რეაბილიტაცია:
  - ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის დასრულება;
  - ქ. ქუთაისში კოპიტნარის აეროპორტის რეაბილიტაცია;
  - რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები, აგრეთვე მოსახლეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწების დამუშავების ხელშეწყობა;
  - ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთათვის მშენებარე ახალი კორპუსის სათანადო ინვენტარით აღჭურვა, სასჯელაღსრულების ზოგიერთი დაწესებულების რეკონსტრუქცია და საზოგადოებრივი მისაღებების მშენებლობა;
  - ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის დაფინანსება;
  - კულტურის სამინისტროს საბიუჯეტო ორგანიზაციების შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის დამატებითი დაფინანსება;
  - მიმდინარე წლის სექტემბერში დაგეგმილი გარემოსდაცვითი განათლების საერთაშორისო კონფერენციის - „თბილისი + 35“-ის ჩატარება;